ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N16

27.07.2018

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:00 საათი

დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 27 ივლისს, 11:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) და ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლები და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა ***(№12-031820624-03, 25.07.2018)*** **(მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი);

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო და განათლების და კულტურის კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ზარქუა.**

მოისმინეს:

მომხსენებელმა სხდომაზე წარადგინა ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება საქართველოს მთავრობს 2018 წ. 2 ივლისის №1341 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქ. რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 10 000,0 ათასი ლარის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების ასიგნებები: გზების მშენებლობა აღდგენა (კოდი 010101), გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 010108), გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 010109), გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 010110), გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 010111), გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 010112), გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 010113), გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 010114), გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 010116),

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 010201), ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 0207), კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 020911), კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 020912), კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 020913), კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 020916), კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 020918), კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში(კოდი 020919), ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (0210), ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (030302), თბილისი-საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 0404), თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08), საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 070204), ააიპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოსათვის, კულტურული ღონისძიებები (კოდი 0805), თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 0901), მერიის ადმინისტრაცია (კოდი 1002), ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 1033). ბიუჯეტს ემატება ახალი ქვეპროგრამა მულტიფუნქციური

ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 070303), იზრდება სპორტული ღონისძიებები (კოდი 080601) 500,0 ათასი ლარით .

მცირდება შემდეგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების ასიგნებები: გზების მოვლა-შეკეთება ისნის (კოდი 010114) და მთაწმინდის რაიონებში (კოდი 010117), კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 020910), ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (კოდი 0410), ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა რაიონებში (კოდი 0501), ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (კოდი 070207), თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 070301), თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 070302), მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (კოდი 070602). ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე (კოდი 080402), მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა(კოდი 080312), კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 080404), წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 1026), პროექტით ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების ხარჯზე ცვლილებები ასევე ხორციელდება სპორტის პრიორიტეტის ფარგლების არსებულ ასიგნებებშიც, მათ შორის მცირდება სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 080604)-600,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტით ქ. თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი იზრდება 10 000,0 ათასი ლარით და მთლიანობაში განისაზღვრება 916 863,6 ათას ლარით.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მომხსენებელმა კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებით სპორტისა და ახლგაზრდობის მიმართულებით სპორტული ღონისძიებები იზრდება 500,0 ათასი ლარით, რაც აიხსნება მეტი სპორტული ღონისძიებების ჩატარების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ქვეპროგრამის გაზრდა სამსახურის სხვა მუხლიდან მიღებული ეკონომიის ხარჯზე ხდება, კერძოდ ინფრასტრუქტურის ნაწილიდან მიღებული ეკონომია აისახება სპორტულ ღონისძიებებში, კომისია მხარს უჭერს დედაქალის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, შალვა ოგბაიძე, ავთანდილ ცინცაძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0))

ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტს და გადაწყვიტა საკითხის გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე